

გაეროს პროგნოზი
სააზიის რეგიონის
კლიმატოლოგიური
მონიტორინგის ცენტრი

დღეს ზოგან მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულ გზების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, მთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ვსდროს, საქართველოს ინტერესები დავაყენოთ ნებისმიერი პოლიტიკური წარმონაქმნის ინტერესებზე მაღლა

ავგისტოდან გაზეთი „აჭარა“ კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდის ბეჭდურად (აქამდე - ჯერ ხუთჯერ, შემდეგ კი სამჯერ იბეჭდებოდა). ჩავთვალოთ, რომ ჩვენი მწიფი რესურსების პირობებში ასე უფრო მოვახერხებდით ინტერნეტპლატფორმის გაძლიერებას, რაც დღევანდელ, ციფრულ ეპოქაში აუცილებელია. ჯერჯერობით გადაწყობის ეტაპზე ვართ. ვფიქრობთ, ახლო მომავალში ჩვენი გამოცემა უკეთესისკენ სანეცვლილებას შეძლებს. კვირაში ერთხელ პერიოდულობის პირობებში პირველად შევხვდით „აჭარას“ დაარსებიდან 103 წლისთავს (18 მარტს) და ქართული ჟურნალისტიკის დღესაც (21 მარტს). ვინაიდან ერთი კვირა ამ ორივე თარიღს იტევს, მორიგ ნომერში ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ამ ორივე დღესასწაულს ბეჭდურად ვცნობთ. „აჭარას“ ჟურნალისტიკისთვის საგულისხმო და სასიამოვნოა, რომ ჩვენი გაზეთის დაარსების თარიღი და ქართული ჟურნალისტიკის დღე ასე ახლოა ერთმანეთთან როგორც დროს თვალსაზრისით, ისე შინაარსობრივად.



18 მარტის აღნიშვნისას, შეუძლებელია გაზეთის ლამის საუკუნოვანი ისტორიის, უკვე მერამდენედ, არ მივუბრუნდეთ, არ გავიხილოთ, რომ „აჭარამ“ დროს გაუძლო, რომ ერთადერთი იყო, რომელიც სრულად მოიცავდა ამ რეგიონს და თავისი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში. საქმე, რომელსაც გაზეთის მესვეურები წარსულში აკეთებდნენ და დღესაც აგრძელებენ, განუწყვეტელ შრომას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. რეგიონში ბოლო დრომდე არ იყო და დღესაც ცოტაა მსგავსი პერიოდულობისა და მასშტაბის ბეჭდური გამოცემა, რაც ყოველთვის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ზოგჯერ თავგანწირვასაც საჭიროებს. ჩვენმა გაზეთმა მთავარი არაერთი სახელი („უწყებები“, „პროლეტარული ბრძოლა“, „ფუნარა“, „საბჭოთა აჭარისტანი“, „საბჭოთა აჭარა“) და, მიუხედავად საზოგადოებრივი წყობის, პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვალებადობისა, შეინარჩუნა არა მარტო არსებობის უფლება, არამედ მთავარი

დანიშნულება - იყოს ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქართველების გადამტანი კუთხის მოჭირახულე და მემბრანა, გაზეთი, რომელშიც ყოველ მოქალაქეს შეუძლია იპოვოს თანადგომა და მისი გასაჭირის გამწვანებელი. ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ყოფილა აღმავლობის და დაღმავლობის წლებიც, ამ გაზეთში უმუშავიათ ადამიანებს, რომლებმაც, უდავოდ, შეიტანეს თავიანთი წვლილი კუთხის განვითარებაში. მათი ინტელექტი და მოქალაქეობრივი პოზიცია გაზეთის პოტენციალზე მიუთითებდა, თუმცა მისი ბოლომდე გამოწვევების, ფრთხილ სურვილისამებრ გაშლისთვის სიტყვის თავისუფლების არქონა თითქმის ყოველთვის უშლიდათ ხელს. ცხადია, ვიწვნიეთ ქვეყანაში განვითარებული ყველა მოვლენის სიმწვანე და უარყოფითი შედეგები. არაერთხელ გავმხდარვართ არცთუ ისე უსაფუძვლო კრიტიკის ობიექტებიც და ერთგულ მკითხველთა თანადგომის

იხ. 31-5 33.

ზაზა შავაძე: ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ თითოეულ ფერმერს სავარგული არ ღარდეს დაუზღავებელი და მაქსიმალური მხარდაჭერა მიიღოს

21 მარტს, „მინისტრის საათის“ ფარგლებში, აჭარის უმაღლეს საბჭოში სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმინეს. ზაზა შავაძემ 2023 წლის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ასევე, სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტზე. მისი თქმით, სამინისტროს ბიუჯეტი 32 014 578 ლარით განისაზღვრა და ის წინა წელთან შედარებით 3 273 628 ლარით გაიზარდა და მოიცავს 16 პროგრამას და 12 ქვეპროგრამას. პრიორიტეტები ორიენტირებულია თანამედროვე აგროტექნოლოგიების დაწერვაზე, მემცენარეობის და მეცხოველეობის ჰიშთგანახლებაზე, მაღალეფექტური მრავალწლიანი ხეილოვანი კულტურების განვითარების ხელშეწყობაზე. ასევე, შესაძლებელი იქნება გაიზარდოს ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, ხარისხი და კონკურენტუნარიანობა. „გაძლიერდება აგრარული ექსტენციის მიწოდება, გაიზარდება მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში დასაქმებული ფერმერების და აგრომეწარმეების ცოდნის დონე. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2024 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ორ ღონისძიებას, საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას, დაფინანსებული იქნება არანაკლებ 1900 პროექტი, რომლის ბიუჯეტი მიმდინარე წელს იქნება 3 781 712 ლარი. რაც შეეხება სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას, იგი დაფინანსდება 1 000 000 ლარით. მიმდინარე წლისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგროსერვისის განვითარება რეგიონში, რომლის დაფინანსებაც შეადგენს 8,160 160 ლარს. განახლდა ქვეპროგრამები: მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, აგრომომსახურების განვითარება, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება, მსხვილფეხა რქოსანი პირვითაგის რეგულაცია, მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა და სამელიორაციო სისტემების მართვა. მინისტრის განცხადებით, ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების უფასოდ დამუშავება. პროგრამის ფარგლებში, 2170 ჰექტარი ფართობი დამუშავდება შესაბამის აგროვადებში. ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ თითოეულ ფერმერს სავარგული არ ღარდეს დაუზღავებელი და მაქსიმალური მხარდაჭერა მიიღოს, რისთვისაც დაიხარჯება 1 284 000 ლარი. 2024 წელს გაგრძელდა აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართულებებით, ფერმერები და აგრომეწარმეები სავსებით პირობებში გადიან სწავლება-კონსულტირებას, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 304 000 ლარით. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ ხაზი გაუსვა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების გარემოს დაცვის და ბუნებრივი



ვი რესურსების საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს - გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის დაცვა და მოვლა, ტყეების მდგრადი მართვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. 2024 წელს აღნიშნული პროგრამები დაფინანსდება 13 251 869 ლარით. რაც შეეხება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მომსახურებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოებას, მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 317 292 ლარს“, - განაცხადა „მინისტრის საათის“ ფორმატში ზაზა შავაძემ.

გუშინვე აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში ამავე კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაკიძემ წარადგინა. დეპუტატების წინაშე საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ამავე კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პლენარული სხდომის გახსნისთანავე დეპუტატებმა უზრუნველეს პროფესიული დღე მიულოცეს და წარმატება უსურვეს. ასევე, მოუსმინეს ოპოზიციური პარტიის დეპუტატების გამოსვლებს. „მინისტრის საათის“ ფორმატის დასრულების შემდეგ დეპუტატი გაიმართა, რომლის დროსაც ზაზა შავაძემ ყველა დამატებით კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამორიყრეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

შავიქონით თუ არა მედიკამენტები სხვა დასახელებით?

მარიამ ხითაიშვილი 27 48 93

ალბათ, შეგიძინებთ, რომ ერთი და იმავე ნივთიერების შემცველ მედიკამენტებს განსხვავებული სახელწოდებები და ფასი აქვს განსხვავებული შეფუთვის, დასახელების, მწარმოებლისა და ფასის მიუხედავად, ყველა ამ მედიკამენტს მსგავსი სამკურნალო ეფექტი აქვს, რადგან მოქმედი ნივთიერების შემცველობა იდენტურია. იდენტურია, ასევე, მისი მიღების ფორმა, დოზირება, ხარისხი, უსაფრთხოება და მოქმედების ეფექტურობა. ამდენად, ორიგინალური, ე.წ. ბრენდული მედიკამენტის გენერალური მედიკამენტთან შედარებით მაღალი ფასი ყოველთვის არ მიუთითებს მის მაღალ ეფექტურობას ან ხარისხზე.



საუბრება მედიკამენტების მეცნიერებათა დოქტორი, ინჟექციონისტი მარია ხითაიშვილი.

- ავთიაქები მედიკამენტების სახელებ-

თან დაკავშირებით, უცნაური ვითარებაა. კერძოდ, პაციენტები მიჩვეულნი არიან მედიკამენტებს, რომლებიც მათ მიერ დანიშნული იქნა თუ ეს მედიკამენტი ვერ იშოვნეს. ზოგიერთ ავთიაქში ეუბნებიან, რომ ამ წამლის დეფიციტია, ზოგან კი სთავაზობენ რომელიმე „შემცვლელს“. პაციენტი, რომელმაც ავთიაქებში ირბინა და ვერ იშოვა ჩემ მიერ დანიშნული წამალი, მეკითხება, იყიდოს თუ არა ეს „შემცვლელი“. ამ დროს ეს წამალი შემცვლელი

პრეპარატია. ამიტომ, სრული აბსურდია, ადამიანს უთხრა, რომ ეს მედიკამენტი არ არის ავთიაქში და აძებნინო, როცა მისი რამდენიმე ვარიანტი შეიძლება იდოს თაროზე. ვიცო, იტყვიან, რომ ფარმაცევტებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ის წამალი, რომელიც ექიმის მიერ არის დანიშნული. თუმცა რასაც ვგულისხმობ, ეს არ არის შეცვლა. მაგალითად, პრეპარატ „მეტრონიდაზოლს“, რომელსაც ამ სახელით კითხულობს პაციენტი,

სრული აბსურდია, ადამიანს უთხრა, რომ ეს მედიკამენტი არ არის ავთიაქში და აძებნინო, როცა მისი რამდენიმე ვარიანტი შეიძლება იდოს თაროზე

კი არა, ზუსტად ის არის, რაც დავუნიშნე. საქმე ისაა, რომ მეც და სხვა ექიმებიც ბევრ მედიკამენტს წერენ მისი ქიმიური სახელით და არა ბრენდულით. შესაბამისად, ამ მედიკამენტების უამრავი, სხვადასხვა კომპანიის წარმოებული ვერსია არსებობს სხვადასხვა სახელით, მაგრამ ყველა მათგანი სწორედ ეს

იმის ნაცვლად, რომ უთხრან, რომელი დასახელებებით აქვთ და მწარმოებლების და ფასის მიხედვით არჩევანის საშუალება მისცენ, ეუბნებიან, რომ დეფიციტია, მისი შემცვლელი აქვთ. ამან მასობრივი ხასიათი მიიღო, რაც არასწორია, - გვითხრა მარია ხითაიშვილი.

დაკლებული 105 კილოგრამი და თავიდან დასახელებული ცხოვრება

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06

ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისე გამოიყურებოდეს, როგორც თავად სურს. ვიღაცას შეიძლება სიმსუქნე მოსწონდეს, ვიღაცას - სივამხრე. მთავარია, ადამიანი საკუთარ სხეულში თავს კომფორტულად გრძობდეს, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ციფრებში გამოხატული სტანდარტებით უნდა ვინელმდგინდეთ და ვიცოდეთ, რა საფრთხეს შეიცავს წონის ნორმიდან გადახრა. წონის ინდექსი როდესაც მაღალია, ბევრი ადამიანი დიეტას და ვარჯიშს მიმართავს, ბევრიც, ბარიატრიულ ქირურგიას, იგივე, კუჭის დაბატარაების ოპერაციას



დღეს გვაცნობთ ლიბა ბიბინაძეს, რომელმაც ბარიატრიული ოპერაციით 105 კილო დაიკლო და დღესაც აგრძელებს წონის კლებას. ის ცნობილი ინფლუენცერია და ინსტაგრამზე 40 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

დღეს გვაცნობთ ლიბა ბიბინაძეს, რომელმაც ბარიატრიული ოპერაციით 105 კილო დაიკლო და დღესაც აგრძელებს წონის კლებას. ის ცნობილი ინფლუენცერია და ინსტაგრამზე 40 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

- რამ განაპირობა თქვენი წონაში მატება?
- წონაში მატება დაიწყო 10 წლის ასაკიდან, როდესაც ვჭამდი სულ „ჩაჩაჩუნდს“, ანუ არაჩანსად ვკვებებოდი. თითქმის 24 საათის განმავლობაში „მაკდონალდსში“ ვიყავი და ვჭამდი ბურგერებს. ასევე, რომ არავის დავეჩხე, ჩემს ოთახში ვიკეტებოდი და ისე ვჭამდი.
- როგორ ებრძოდით მომატებულ კილოგრამებს?
- 165 კილო ვიყავი და სულ ვცდილობდი წონაში დაკლებას. 13-14 წლიდან უკვე წონაში ძალიან მოვიმატე. ოჯახის წევრებმა ბევრ ხერხს მიმართეს, რომ დამეკლო, მაგრამ ყველაფერი უშედეგო იყო. ჩემი ოჯახი ფიქრობდა, რომ წანმრთელობის პრობლემა მქონდა და თან ჰორმონალური დარღვევა. ყველაფერი გამოვიკვლიე და აღმოჩნდა, რომ წონაში მატება მხოლოდ საჭმლის გამო ხდებოდა. ბევრი დიეტა ვცადე, დავიკული, მაგრამ დიეტის შეწყვეტის შემდეგ, ორმაგად მოვიმატე.
- თუ მიგიმართავთ ისეთი დიეტისთვის, რომელმაც თქვენი ჯანმრთელობა დააზიანა?
- ბევრი დიეტოლოგისთვის მიმმართავს და ვერ ვიტყვი, რომ არ დამიკლია. ისეთ მკაცრ დიეტებს მიწერდნენ, რომ უშუალოდ იყო მათი დაცვა, ფაქტობრივად, მანამდე ვიკეტებდნენ. ერთი თვის განმავლობაში ერთი და იგივე ვჭამდი, რაც, შეიძლება ითქვას, ორგანიზმს მიზიანებდა.
- ხომ არ გქონდათ კომპლექსები?
- სამწუხაროდ, წონის გამო გამიჩინდა ბევრი კომპლექსი. ხალხის მრცხვენოდა, გარეთ არ გავდიოდი, ოთახში ვიკეტებოდი. დამცინოდნენ და ამიტომაც უფრო მქონდა კომპლექსი. ქუჩაში რომ გავდიოდით მე და დედაჩემი, ბევრჯერ უთქვამთ, ამას პატრონი არ ჰყავსო. იყო შემთხვევები, როდესაც ტრანსპორტს ბოლო გაჩერებამდე მივყვებოდი, რომ სხვისთვის ხელი არ შემეშალა ჩასვლის დროს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ხშირია ბულინგო.
- როდის მიხვდით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ წონაში დიეტის გარდა, სხვა გზით დაგეკლოთ?
- წონის კლების ქირურგიული მეთოდების ძალიან მეშინოდა. ჩემი ძმა დამეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში. სამწუხაროდ, ის ახლა ჩემ გვერდით აღარ არის, გარდაიცვალა. მთელი ცხოვრება ვიქნები მისი მადლიერი. მან მაძულა, გამეკეთებინა ბარიატრიული ოპერაცია. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც უარი ვერ ვუთხარი და...
- ამბობენ, რომ კუჭის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაცია რთული პროცესია. მოგეყვება როგორ განვლით ეს გზა...

ვსდილობთ, საქართველოს ინტერესები დაავაყენოთ ნებისმიერი პოლიტიკური წარმონაქმნის ინტერესებზე მალა

პირველი გვერდიდან

ლირსიცი. ჩვენ ისტორიის საკმაოდ გრძელი ნაწილი ვართ, სწორედ ამიტომაც წარმოუდგენელი, ფერუცვლელი დავრჩენილიყავით. გაზეთის რედაქციაში თაობების ცვლილებასთან ერთად ისევე შეიცვალა აზროვნება, იდეოლოგია, როგორც მთელ ქვეყანაში, თუმცა გვქონდა და გვაქვს მარადიული ღირებულებები, რასაც დრომ ვერაფერი დააკლო და ესენია: ერთგულება ქართული ენისადმი, რწმენისადმი, სამშობლოსადმი, გაზეთის ტრადიციებისადმი, პროფესიისადმი...

იმედი გვაქვს, უკეთესობისაკენ სვლის ჩვენი სურვილი და ძალისხმევა შესაძლებელია და უახლოეს მომავალშიკიდევ უფრო დაეტყობა გაზეთს. ამაში ხელს ძალიან გვიწყობს ის უნივერსიტეტოვანესი გარემოებაც, რომ, შეიძლება ითქვას, დღეს „აჭარა“ ისეთი თავისუფალია სარედაქციო პოლიტიკაში ხელისუფლების ჩაურევლობის თვალსაზრისით, როგორც აქამდე არასდროს. ამასთან, ჩვენი რეგიონის პირველი პირმა თორნიკე რიჟვაძემ, როგორც დაგვიპირდა, რედაქციის შენობის გასარემონტებელი თანხა გამოგვიყო და თანამედროვეობისთვის შეუფერებელ პირობებში მრავალწლიანი ყოფნის შემდეგ, მესამე წელია, ნორმალური ინტერიერსა და კომფორტში მუშაობა გვეძირსა, თუმცა ტექნიკური განახლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჯერაც აქილევსის ქუსლად რჩება.

მოგესხენებათ, ციფრულ ტექნოლოგიებს ოპერატიულობის თვალსაზრისით ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ამას გაზეთის ქალღმერთ ბეჭდვამ გვაძლევს. ამჟამად, „აჭარის“ ვებგვერდის საშუალებით, მკითხველს ყოველდღიურად ვაწვდით ინფორმაციას და საინტერესო თემებზე დაწერილ სტატიებს, ამასთან, კვირაში ერთხელ ბეჭდურად „აჭარის“ გამოცემა აუცილებლობად მიგვაჩნია, რადგან, ჯერ ერთი, ერთადერთი ამ მასშტაბის ბეჭდური მედია რეგიონში, მეორე - გაზეთში ბევრად მეტი დაკვირვებით და დალაგებულად ითქმის ყველა საჭირობო საკითხზეც, იმ ადამიანებზეც, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ამ კუთხის განვითარებაში, ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზეც, რომელიც არ გვაკლია ამ ქვეყანაში, ასევე, ამა თუ იმ ანალიტიკოსის საინტერესო მოსაზრებების შესახებაც.

მადლიერებით ვისხენებთ იმ გარდაცვლილ „გაზეთიკოთა“ სახელებს, რომელთა შრომამ, ინტელექტმა, პროფესიონალიზმმა და ადამიანური თვისებებმა „აჭარას“ სიცოცხლე გაუნარჩლივია, მათ სახელებს ეს გვერდი ვერ დაიტევს. ასევე, ვემადლიერებთ ჩვენს ყოფილ თანამშრომლებს: ვახტანგ თავბერიძეს, ვიგი თურმანიძეს, რუსიკო ქუჩიძეს, ზაზა ფალავანდიშვილს, ლილი დლონტს, მანანა მიქელაძეს, ნინო ცხვარაძეს, ლიკა აროშიძეს, ია კვერნაძეს, ნატო ორაგველიძეს, ლუიზა ლომაძეს, გურანდა ბოლქვაძეს, რომლებსაც სათანადოდ ვერ დავუფასეთ ის წლები, რომლებიც გაზეთის ერთგულ სამსახურში გაატარეს. პირველ რიგში, მათ ვულოცავთ, რომ „აჭარა“ ცოცხლობს, აგრძელებს საქმეს, რომელსაც სხვა გამოცემები ვერ გააკეთებენ, რადგან ეს ჩვენი ტრადიციია, გაზეთის ფურცლებზე უპირატესობა მივანიჭოთ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი დედალით გაამდიდრეს ამ კუთხის ცხოვრება სხვადასხვა სფეროში, არ გავაღვივოთ შუღლი და დაპირისპირება, ყურით მოთრეულ სენსაციებს არ შევწიროთ სიმართლე, უდანაშაულო ადამიანი. ცვლილებით, სახელმწიფოს, საქართველოს ინტერესები დავაყენოთ ნებისმიერი პოლიტიკური წარმონაქმნის ინტერესებზე მაღლა. კარგად გვეცხმის დროს გამოწვევებიც და ზუსტად ვიცით, ბეჭდური მედიით ნათქვამი სიტყვა წონას არასოდეს დაკარგავს.

გაზეთი „აჭარა“ მედიის ყველა წარმომადგენელს ულოცავს ქართული ჟურნალისტიკის დღეს და უსურვებს, პროფესიონალურად, სიმართლით და სიყვარულით ემსახურონ სამშობლოს.

მარიამ ხითაიშვილი



საქართველო სულის მუდმივი მიზნური თავდასა

ლაშა ხოშიაძე 593 50 82 69

ძალთმობა ანა სურმანიძის ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ლექსების წიგნი „მზერა“ მისი საღიზიანო ბარათია. იგი საინტერესო და თვითმყოფადი შემოქმედებაა. მისი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ლიტერატურულ ყურნალ-გაზეთებში, კრებულებში, ინტერნეტსივრცეში. მკითხველებს მოსწონთ. დადებითი გამოხმაურებები პოეტის პოპულარობას ზრდის. განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ბავშვებს უყვართ, ხშირად იწვევენ შეხვედრებზე. თავდაც არ იშურებს ძალისხმევას, ბავშვებს წიგნის, ცოდნის სიყვარული რომ გაუღვივოს. საგანმანათლებლო ღონისძიებების უბადლო ორგანიზატორი, არაერთი პროექტის მონაწილე და გამარჯვებულია. საჩინოა მისი წვლილი წიგნიერების გამავრცელებელი საზოგადოების ღონისძიებებშიც.



„მეცნიერად ნათქვამი სიმართლე შესაძლოა, სხვებისთვის მტკივნეული იყოს. სიმართლე სველი პირსახოცივით კი არ უნდა ააფარო ადამიანს სახეზე, თბილ მანტოსავით ფრთხილად უნდა მოახურო. ვიზიარებ ამ სიბრძნეს, მაგრამ იშვიათად ვითვალისწინებ.“

- გვირგვინი გულახდილი დიალოგის?
- ზომიერად გულახდილობის მომხრე ვარ. ზედმეტი არც გულახდილობა ვარ და არც ჩაკეტილობა. ზოგჯერ ზედმეტი გულწრფელობა სიხისტეში გადადის, რაც არც ისე კარგია. მყისიერად ნათქვამი სიმართლე შესაძლოა, სხვებისთვის მტკივნეული იყოს. სიმართლე სველი პირსახოცივით კი არ უნდა ააფარო ადამიანს სახეზე, თბილ მანტოსავით ფრთხილად უნდა მოახურო. ვიზიარებ ამ სიბრძნეს, მაგრამ იშვიათად ვითვალისწინებ.

- როცა ბავშვობას იხსენებ...
- ვბედნიერდები... იმ განცდებზე ვახსებ და ეს კვლავ ბავშვად მაგრძობინებს თავს.

- პოეზია თქვენი მოწოდებაა თუ შობი?
- პოეზიადამოკიდებული ვარ. პოეზიის ჭაში წყალივით ერთხელ თუ ჩადგები, ძნელი ამოშრობა.

- მწერლები, თქვენი სულის მეგობრებად რომ მიგაჩნათ...
- მუდმივი თანამგზავრი არ მყავს. მწერლები ჩემთვის მეტოქეობით არიან, ჩამიქროლებენ, გამინათებენ სივრცისა და დროის რაღაც ნაწილს და განიფანტებიან. ჩემი სულის მუდმივი მეგობარი თავად ვარ. სადაც

რასაც საჭირო დროით ვიყენებ, იმას ვეუფლები მხოლოდ.

- შეგიძლიათ სიტუაციის სხვა ადამიანის თვალთ შეხედოთ და მოვლენები განჭვრიტოთ?
- კი. ძირითადად, ასე ვიქცევი. სხვების თვალთ ვხედავ მენმარება ქმედებებში. სხვებს უფრო მეტ ვუსმენ, ვიდრე ვსაუბრობ. ეს მენმარება მათი ხედვითაც დაინახო ეს თუ ის მოვლენა და თავად ის ადამიანები.

- გამოცდილება, რაც ცხოვრებამ შეგიძინათ და ფასეულია...
- ვიყო მართალი. ვიცხოვრო ჩემი პრინციპებით. მოვუსმინო ყველას, მაგრამ არ გავითვალისწინო უსუსური რჩევები. კიდევ ბევრია, მაგრამ ამ სამზე შევჩერდები.

- ბუნებით ტკბობა თუ ზრუნვა მასზე - რა არის თქვენთვის პრიორიტეტი?
- თუ ვიყვარს, ესე იგი ზრუნვა კიდევ მასზე, ბუნება ხომ ნაწილია ადამიანის. განა მიწა არა ვართ?

- ადამიანის საუკეთესო თვისება...
- სამართლიანობა. ვაფასებ და მიყვარს სამართლიანი ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის. მტერიც და შტერიც თუ სამართლიანია, ჩემთვის პატივსაცემია.

ვიცი. გადაჩვევის რა ვითრათ, მაგრამ მგონია, რომ ეს არ უნდა ვაქციოთ მოღურად.

- საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდს გაცოცხლებდით, კინორეჟისორი რომ იყო?
- ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს. ეს ეპოქა არის ძალიან დიდი გარდატეხის, სხვა მასშტაბისა და განზომილების, „დიდი გამოღვიძების“ ხანა.

- ლიტერატურულ პროექტებში „საქართველო წერს აფეთქებისტყუარას“ და „საქართველო წერს ზურაბ გორგილაძის რჩეულს“ თუ აპირებთ მონაწილეობას?
- 21-ე საუკუნეში, დაწერილის გადაწერაზე უფრო, მეტი შემოქმედებითობის ხილვას ვისურვებდი.

- სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობთ?
- საქართველო.

- თქვენ და ბათუმი... ბათუმელები წინათ, დღეს და ხვალ...
- ყველაზე კომფორტული, საყვარელი, თბილი და მეგობრულია ბათუმი. ამ პატარა ქუჩებს დღის განმავლობაში ფეხით შემოვივლი, გადაწყდები უამრავ ნაცნობს. მიყვარს ფეხით სეირნობა, გამვლელების ყურება, ათასნაირი განცდა რომ იკითხება მათ სახეებზე. ქუჩაში ყოველი გავლისას ვათვალიერებ არემარეს, თითქოს პირველად ვხედავ და არ მინდა, რაიმე გამომეპაროს. ამ ენერჯის, რასაც ეს ქალაქი მაძლევს, დილიდან დილამდე ვიზოგავ და ცირკულაციურად მასვე ვუბრუნებ. ვამაყობ ბათუმითა და ბათუმელებით, რომლებმაც ბევრ სფეროში თავიანთი აკადემიური ნიშა ამოტვიფრეს და ბაჭალოსავით ბრჭყვიალებენ რჩეულთა შორის. ბათუმს ვუსურვებ ურბანულ ამოსუნთქვას, ბათუმელებს - უფრო მეტ საინტერესო და საამაყო თანაქალაქელს.

- კითხვა, რომლის დასმასაც ისურვებდით?
- რატომ არაა გამოჩენილი ხელოვნების სფერო პოლიტიკისგან?

«აჭარა» 103 წლისა კორექტორები შეხვედრის დაშვების უფლებას არ გვაძლევენ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გაზეთ „აჭარის“ 103-წლიანი ისტორიის განმავლობაში, აქ ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ის პიროვნებები, ვინც გაზეთის ფურცლებზე ურნალისტიკებს გრამატიკული შეცდომის დაშვების უფლებას არ აძლევდნენ - კორექტორები. დღეს ამ თანამდებობაზე 4 არაჩვეულებრივი, პროფესიონალიზმით გამოირჩეული ქალბატონი მუშაობს - მანანა თევდორაძე, ქეთი კილაძე, ასმათ მორჩილაძე და ნინო ხაჭაპურიძე. რა არის მათთვის გაზეთი „აჭარა“, ამაზე თავად გვესაუბრებიან.



მანანა თევდორაძე:
- ჩემთვის „აჭარა“ მეორე ოჯახია. ვითომ შაბლონურია, მაგრამ ეს ასეა. 46 წელი ცოტა არაა. 1978 წლის 1 აგვისტოს მოვედი აქ, ბატონ თენგიზ ხომერიკის რეკომენდაციით. მოვედი და... შევბერდით ერთმანეთს მე და „აჭარა“. რა თქმა უნდა, „შეცდომაც“ გაპარულა ამ ხნის განმავლობაში. ერთხელ, სამწუხაროდ, თარიღი არ მახსოვს, ძალიან გვიან მოვიდა ინფორმაცია ტელეტაიპით, სადაც კოსმოსურ რაკეტა „სოიუზზე“ იყო საუბარი (ნომერი არ მახსოვს). წავიკითხე ინფორმაცია, ჩემ შემდეგ კონტროლიორ-კორექტორმა დალი ინაშვილმაც (აცხონოს ღმერთმა) წაიკითხა და ბოლოს - შოთა ქურიძემ, ჩვენი გაზეთის რედაქტორმა და უცებ გვეცემის მისი შეფიქრება: „სოიუზი კი არა, ხარისხი მოგცემთ მე თქვენო. რას ვხედავთ, „სოიუზის“ მაგივრად ყველაფერ „სოიუზი“ იყო აწყობილი. ძალიან ბევრი ვიცინეთ.



ნინო ხაჭაპურიძე:
- უკვე თითქმის 30 წელია, გაზეთ „აჭარის“ თანამშრომელი ვარ. ჩვენს რედაქციაში ხშირად იყო შემთხვევა, როცა შეილები მშობლებს აგვანაცვლებოდით. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. ლამის გაზეთ „აჭარის“ რედაქციაში გავიზარდე, სადაც დედაჩემი - ლოლა სანიკიძე მუშაობდა (ნათელი მის სულს). იმდენად თბილი და მშობლიური იყო ჩემთვის რედაქცია, რომ მის კედლებს ვერც მე გავცდი. უკვე სამი ათეული წელია, აქ ვარ და ერთგულად ვემსახურები საუკუნოვან გაზეთს. სამწუხაროდ, დიდი ხანია, როცა ჩვენს შენობას ჩავუვლი, ისეთი გრძობა მეუფლება, რაღაც განსაკუთრებულად ძვირფასი წამარტყვას. რას ვუსურვებ? მართალი სიტყვის საღარაჯოზე დგომას, ინტერესიან მკითხველთა სიმრავლეს, კიდევ მრავალი საუკუნის უკან მოტოვებას.



ქეთი კილაძე:
- „აჭარა“ ჩემთვის მშობლიური კერაა. 7 წლის ვიყავი, როცა დედაჩემმა აქ კორექტორად დაიწყო მუშაობა. ცხოვრების უდიდესი ნაწილი სწორედ რედაქციაში გავატარე ჯერ შვილის სტატუსით, 2000 წლიდან კი უკვე თანამშრომლის ამპლუაში. 24 წელი ამ დიდი და მოსიყვარულე ოჯახის წევრი ვარ,



ასმათ მორჩილაძე:
- „აჭარა“ ჩემი მეორე ოჯახია. 39 წელია, ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ. ამ წლების მალეფერი ვარ და ბედნიერიც, რომ აქამდე დავრჩი ამ გაზეთის გუნდის წევრად. მის ყველა წევრს მინდა ჯანმრთელობა და კარიერული წინსვლა გუსურვო. მე თქვენ მიყვარხართ!





«103» 103 წლისა

ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად ვიმუშავებ

მანანა კიბიჭვილი 598 24 94 97

დავიწყებ იმით, რომ გაზეთში მუშაობის 57 წელი სულ ახლახან - 6 მარტს შემისრულდა. ეს ნახევარ საუკუნეზე მეტია და, წარმოიდგინეთ, ამ წლის განმავლობაში რამდენი თანამშრომელი გავიცანი, ვისთან ერთადაც არაერთი წელი ვიმუშავე... სამწუხაროდ, უმრავლესობა აწ გარდაცვლილა. მიჭირს მათზე საუბარი, რადგან თითოეული საუკეთესო იყო. დღეს სწორედ გარდაცვლილებს მინდა მოვეფერო, მაგრამ ყველას ვახსენებ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძალიან ბევრი წავიდა...



არაერთხელ დამიწერია, რომ რედაქციაში მუშაობა ჯერ რუსულ გაზეთში, მაშინდელ „სოვეტსკაია აღჟარაში“ დავიწყე კურიერად (შეიკრიკად). აქ გავიარე რამდენიმე თანამდებობრივი საფეხური და 25 წლის შემდეგ გაზეთ „აჭარაში“ ჩემთვის (და უამრავისთვის) უსაყვარლესმა რედაქტორმა და ადამიანმა ალექსანდრე (ალი) სამსონიამ გადამიყვანა... თუმცა ჯერ აუცილებლად მინდა ვახსენო ჩემი პირველი რედაქტორი ვლადიმერ მარლანძიძე, უგანათლებულესი, მომთხროვნი, ზოგჯერ მკაცრიც. ტექსტს „ასჯერ“ გადაამოწმებინებდა არა იმიტომ, რომ ახალბედა ვიყავი, ყველას მიმართ ასეთი მომთხროვნი იყო. ჩემი პირველი ინფორმაცია სწორედ „სოვეტსკაია აღჟარაში“ დაიბეჭდა (სახელმწიფო მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიებაზე). სიხარულით დავფრინავდი. ასჯერ მისინც გადავიკითხე ჩემი გვარი, მეზობლებსაც ვაკითხებდი... მაშინ გაზეთი ერთადერთი ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყარო იყო და უამრავი მკითხველი ჰყავდა... მართალია, რუსულ გაზეთში ვმუშაობდი, მაგრამ ქართული გაზეთის თანამშრომლებთან ჩვეულებრივად ვმუშაობობდი. ჩვენ თითქმის ერთ კოლექტივად ვითვლებოდით, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა ენაზე გამოდიოდა ერთი გაზეთი. „რუსები“ მესამე სარ-

შესანიშნავი პიროვნება), ვახსენებ წულუკაძე, ამირან ვალაჟიკორია, გიორგი სალუქვაძე, რიუტიკ ფალავანიძევილი, ავთო დიასამიძე, ნაზიბროლა ქორიძე, ვლადიმერ დარჩია, ნუგზარ ჯაფარიძე, ნევრო პატარაია, სერგო კაკურიძე, იური თავდუმაძე, დურუსენ კობალაძე, ნოდარ დოლიძე, დანიელ კუჭავა, საშა მითაიშვილი, ამირან კაცაძე (ჩვენი „ბესტი“), ვლადიმერ ცეცხლაძე, მარუსია არუთინოვა, გულიკო ხარაბაძე, მარუსია კაკიკრანიანი, თამარ აბაშიძე, დალი ინაიშვილი, ნაზი ბერაია, ცილა ლლონტი, ნორა კახიანი, ლოლა სანიკიძე, რევაზ მსხილაძე, ავთო ლომაძე, ნუკრი ნიკოლაიშვილი, გივი თევზაძე, არჩილ ტოტოჩავა, გოგიტა ლორთქიფანიძე, მურად მალაყმაძე...

ბატონ ნევროსთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გავხსენო. ერთ დღეს კიბეებზე შევხვდით ერთმანეთს, კარგი სმენა და ხმა მქონდა, ასევე, შესანიშნავად ვუსტვენდი მხატვრულად. ჰოდა, მოვდივარ, რაღაც სიმღერას ვუსტვენ, ბატონი ნევრო მეუბნება: მხატვრულად მშვენივრად გამოგდის, მაგრამ მეორენაირი სტვენა თუ იციო. კი, რა თქმა უნდა-მეთქი, ჰოდა, დაუსტვინეთ. აქ მერიდებამეთქი, წამიყვანა კაბინეტში და როცა ძალიან ხმამაღლა დავუსტვინე, გაგიჟდა, სად ისწავლეო. რატომ გავიწყდებოდა, „ჭაობელი“ რომ ვარ-მეთქი. ბევრი ვიცინეთ.

ქართულ გაზეთში აწ განსვენებული რედაქტორებიდან ალი სამსონიასა და ნუგზარ ჯაფარიძესთან მომიწია მუშაობა, თორემ ისე ბევრთან ვთანამშრომლობდი. რა უნდა ვთქვა ამ ადამიანებზე გარდა იმისა, რომ ბედნიერად ვვფიქრობ თავს, მათ რომ ვიცნობდი, მათთან რომ ვმუშაობდი, ვმეგობრობდი...

გადაგზავნა ზოგიერთ ამბავსაც ვავისხენებ. ერთხელ ბატონი ალი ბაზრიდან დაბრუნდა და თავს გადახდენილ ამბავს მოგვიყვა. უყვინდა ბევრი რამ - ხორცი, მისი „მოწყობილობა“, ახალშემოსული მარწყვი... მოკლედ, ჯე-

რი მწვანელებზე რომ მიმდგარა, ორივე ხელი დაკავებული ჰქონია და სურსათ-სანოვანო გაძეგვილი ეს ორი პარკი ძირს დაუდგია, ჰოდა, მწვანელებს ყიდულობს და ხურდას ელოდება. ვიღაცამ ეს პარკები შეუმჩნევლად ააცანცლა. რედაქციაში რომ მოვიდა, იცინოდა, 40 კაპიკს გადავაცოლდე ამდენი ხორაგო. ბატონი ალი ყოველდღე მთელ რედაქციას „პერაშკებით“ და „პონჩიკებით“ აპურებდა (90-იანი წლები იყო), რომელიც ერთ ქალს მოჰქოდა სახლიდან. ლანგარზე რაც ედო, ალი ყველას ყიდულობდა და მთელ რედაქციას მიიპატიჟებდა. უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო ალიც და ის ქალიც, თანამშრომლებიც, რა თქმა უნდა...

ერთხელ ნუგზარ ჯაფარიძემ ალისთან თათბირზე ჩემი პატარა, 3 თუ 4 წლის დათუნა შეიყვანა და ლაღო ასათიანის ლექსი „საქართველოში იბადებოდნენ“ თავიდან ბოლომდე ათქმევინა, შემდეგ „ტაშის გრიალში“ ხუთი მანეთით დააჯილდოვა და ისე გამოეშვა. მერე სულ ვეხვეწებოდი, ბევრი ლექსი იცის და კიდევ ათქმევინე-მეთქი. ნუგზართან - მოსიარულე დღესასწაულთან მუშაობა უდიდესი ბედნიერება იყო...

ავთო დიასამიძე თუ შემაქებდა, სიამაყით ვივსებოდი - ის ხომ უურნალისტიკის მეტრი გახლდათ, თუმცა შექებას არც სხვები მაკლებდნენ. ეს უფრო მოფერება იყო და თუ ახლა ამას ვისხენებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოვიგონო, მათ სულელებს მოვფერებო...

57 წელი არ არის 5 წელი, ნახევარ საუკუნეზე მეტია. ეს წლები შეუმჩნევლად გავიდა... ერთი კარგად ვიცი: გაზეთი „აჭარა“ დღეს ჩემთვის რაღაც სხვა განზომილებაა, ტკივილიცაა - იმ ულამაზესი შენობიდან გაზეთის გამოსახლების გამო, რომელიც 70 წელი გაზეთის საკუთრება იყო, ხოლო სიხარული და ბედნიერებაა თითოეული დღე, რომელსაც აქ მომუშავე ადამიანებთან ვატარებ. მაღლობა უფალს იმისთვის, რომ სწორედ გაზეთ „აჭარაში“ მომიყვანა და ცხოვრების წლები აქ გამატარებინა.

მადლობა ოსმან ჩალიშქან მუჰამადის - ჩვენებურს

გაზეთ „აჭარის“ 103 წლის იუბილე ტრადიციულად, დიდი პატივისცემით და ტორტით საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, თურქეთ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან მუჰამადიმ მოგილოცა. მადლობა მას დაფასებისა და საჩუქრისთვის, რაც გაზეთ „აჭარის“ თანამშრომლებს გავვიკეთა - ექსკურსია თურქეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, მისიში, მთელი შემადგენლობით გავემგზავრებთ ქალაქ სამსუნში, ტრაპიზონსა და ორდუში, დავათვლიერებთ ღირსშესანიშნაობებს, გავიცნობთ „ჩვენებურებს“ და შევხვდებით ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს.



Table with 2 columns: Description of services and amounts in GEL. Includes items like 'ეროვნული დახმარება სურსათით', 'მოსახლეობაში დანაწილებული ხორცი', etc.

ზვიად კოჩალიძე, საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის პრეზიდენტი

ანგარიში

15/03/2022 საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია დაფუძნდა 2001 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 248386571). მისამართი ქ. ბათუმი, ხახულის ქ. №1, შესახვევი №1. ასოციაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია პრეზიდენტი ზვიად კოჩალიძე.

Table with 2 columns: Description of expenses and amounts in GEL. Includes '2023 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობა შეადგინა 557915.84 ლარი', 'ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით', etc.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი დაფუძნდა 2016 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 445487312). მისამართი ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №49/2. ფონდი მოქმედებს ნებაყოფლობის, წვერთა თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიულობისა და კანონიერების საფუძველზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ნოდარ პაქსაძე

Table with 2 columns: Description of expenses and amounts in GEL. Includes '2023 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობა შეადგინა 26301.18 ლ.', 'უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს', etc.

ნოდარ პაქსაძე, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე

Footer section containing contact information for the newspaper, including address, phone numbers, and website details.



„იალონი“ და „არსიანი“ – მეგობრული საღამო

მანანა პიპიშვილი 598 24 94 97

სიბოთი და სიყვარულით სავსე საღამო შემოგვთავაზებს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ მომღერალთა გუნდმა (ლოტბარი - გიორგი ჩხარტიშვილი) და ქართული ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლმა „იალონი“ (ხელმძღვანელი - ნინო ნანიშვილი)

მეგობრულ საღამოზე ოცამდე ქართული ტრადიციული და სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული სიმღერა, კერძოდ, - „კახური მრავალუამიერი“, „სტლანობა“, „აჭარული ხასანბეგურა“, „მოყვარე“, „ხასანბეგურა“, „სადილინო“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „ლაჟვარდ ცაზე“, „ბათუმს ქათქათას“ მოისმინა მსმენელმა, რამდენიმე - გვიგარა“, „აჭარული სატრფიალო“ კი მათ ერთობლივად შეასრულეს.

ეს შეხვედრა შარშან დაიგეგმა, „არსიანის“ დირექტორ გიორგი ჭანიშვილის მიერ დაფუნდებულ მედიტონ კუხიანძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალზე,

სადაც ორივე კოლექტივი მონაწილეობდა. ფესტივალზე ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას, აღორძინებას, მომავალი თაობის დაინტერესებას ისახავს მიზნად. მეგობრული საღამოები კი თავისთავად, ამ ტრადიციების გაგრძელებაა.

ანსამბლი „იალონი“ 15 წლის წინ შეიქმნა ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორის, ეთნომუსიკოლოგ ნინო ნანიშვილის ხელმძღვანელობით. გუნდის მთავარი მიზანი ქართული ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა განსხვავების შესწავლაა ხალხური, საეკლესიო და ქალაქური მუსიკის სახით. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს საქართველოს რეგიონებში, რადგან ადგილობრივ მსმენელთან შეხვედრა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დროს ექსპედიციებსაც აწყობენ, ავთენტურ შემსრულებლებს იწვევენ. ასეთი შემოქმედებითი თანამშრომლობა სხვადასხვა კუთხესთან, ზრდის მოტივაციას ახალი ურთიერთობებისთვის. რა თქმა უნდა, ანსამბლი ძალიან ხშირად მოგზაურობს უცხოეთში. ეს-

ც მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. გოგონების უმრავლესობა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტია, ზოგმაც უკვე დაამთავრა ეს უნივერსიტეტი.

„იალონი“ საოცარი ანსამბლია, მისი თითოეული წევრი სოლისტია. 15 წლის განმავლობაში ძალიან შეიყვარა მსმენელმა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ისინი პოპულარიზაციას უწევენ ქართულ ხალხურ და ქალაქურ სიმღერებს. ნინოს თავადაც ზებუნებრივი ხმა აქვს და ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭია, - აღნიშნა გიორგი ჭანიშვილმა, რომელმაც სტუმრებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. მან მაღლობა გადაუხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სამუსიკო სკოლის დირექტორ ნინო ჩაიძეს თანადგომისთვის.

- ეს საღამო ჩვენი ანსამბლის ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი და, ამასთან, ემოციური, ასეთი გულწრფელი მსმენელი და კულტურული თანამშრომლობა, სამწუხარ-

ოდ, არ არის ხშირი. საბედნიეროდ, ანსამბლი „არსიანი“ აღმოჩნდა ისეთი კოლექტივი, რომელიც გულშემატკივრობს ქართულ ტრადიციულ მუსიკას. ჩვენი წლების წინ დაწყებული ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ამის დასტურია დღევანდელი საღამოც. წელს ანსამბლი 15 წლის გახდა და სასიხარულოა, რომ ეს საიუბილეო თარიღი ასე აღინიშნა, - გვითხრა ნინო ნანიშვილმა.

„იალონი“ მთელი საქართველო ეფერება და ჩვენთვისაც ძალიან საყვარელი ანსამბლია. მათი ჩამოსვლით გავიხარეთ. ერთობლივად შესრულებული სიმღერებით, შევეცადეთ, მსმენელისთვის გადაგვეცა სიბოთი და სიყვარული. მაღლობა გიორგი ჭანიშვილს, ნინო ნანიშვილს, მის გოგონებს, ჩვენს ბიჭებს, ყველას, ვინც ამ საღამოში წვლილი შეიტანა, - აღნიშნა ლოტბარმა გიორგი ჩხარტიშვილმა.

- ძალიან საინტერესო იყო ორი განსხვავებული ანსამბლის ერთად ხილვა. უთბოლესად და უტკბოლესად შესრულებული სიმღერები მოვისმინეთ. ქართული სიმღერის ნამდვილი ზეიმი იყო, - გვითხრა ანსამბლ „ათაქალის“ ხელმძღვანელმა ლამპირა ავაქიძემ.



ბათუმში ფრანკოფონიის დღე აღინიშნა

მანანა პიპიშვილი 598 24 94 97

20 მარტი მსოფლიო ფრანკოფონიის დღეა. უკვე მეშვიდე წელია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამ დღეს მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში პოლ ვერლენის ლექსების კითხვა მოეწყო, ხოლო ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციასთან ერთად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს შორის ფრანგული ენის კონკურსი ჩატარდა. გამარჯვებული დღეს გამოვლინდება.

ფრანკოფონიის დღეებს კლასიკური მუსიკის კონცერტი მიეძღვნა, რომელიც ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული საღამო, რომელსაც იმ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები ესწრებოდნენ, სადაც ფრანგული ენა შეისწავლება, რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორ ნატო ორაგველიძეს მიჰყავდა.

კონცერტში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის სოლისტები ნონა კორიფაძე, ირაკლი კობიფაძე და ზაქარია ფალიაშვილისა და რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები - ბარბარე ვადაჭკორია, მარიამ ჭანტურია, ანინა არაბული, იესე ჭინჭვლაშვილი, ნიკოლოზ ვადაჭკორია, ნინო ჯოჯუა, ანა და ბარბარე გეგუჩაძეები და კმსარია ალელიშვილი მონაწილეობდნენ.

- მაღლობას ვუხდი ყველა იმ ორგანიზაციას, ვინც აქტიურად იყო ჩართული ფრანკოფონიის დღეებში. სასიხარულოა, რომ წელს ეს ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური გამოვიდა, მრავალფეროვანი და მრავალი



აქტივობით გამორჩეული. წლიდან წლამდე, სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ინტერესდება სხვადასხვა უცხოური ენით, რაც შემდგომი განათლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მანანა პიპიშვილმა.

- კარგია, რომ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფრანგული ენის სწავლების გაძლიერებას აქტიურად უჭერს მხარს. დიდი ხნის წინათ, ფრანგული ენის სწავლა განსაკუთრებული განათლების მაჩვენებელი იყო, ჩვენ ამ ტრადიციების გაგრძელება გვსურს. ყველაზე მნიშ-



ვნელოვანი კი ისაა, აჭარა ყოველწლიურად ჩნდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფრანკოფონიის საიტზე და მსოფლიო ღონისძიებების ჩამონათვალში. თბილისის დიუმის სახელობის ცენტრი და საქართველოში საფრანგეთის საელჩო ამ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებაში აქტიურად გვეხმარება. ასეთი ღონისძიებები სამომავლოდ კვლავაც ჩატარდება და გვიქრობთ, უფრო მასშტაბურად, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა თეა ჭანტურიშვილმა.

ფერხით გადმოცემული სათქმელი

მანანა აბულაძე 577 20 35 90

„მშვენიერი სამყარო“ - ხელოვნების მუზეუმის გალერეა ნატალია დაბიუას ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. მხატვარმა საზოგადოებას ბოლო პერიოდში შექმნილი ფერწერული ტილოები წარუდგინა. პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი, - თითოეული ნამუშევარი ფერებით ჰყვება სათქმელს და როგორც მხატვარმა აღნიშნა, გადმოსცემს სამყაროს მშვენიერებას, ფერად ემოციებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს ახლავს.

- მინდა მაღლობა გადავუხადო გამოფენაზე მოსულ თითოეულ დამთვალიერებელს, იმ ფერად სამყაროში მოგზაურობისთვის, რომელსაც ჩემი შემოქმედება აღწერს. მათ გამოიზარეს შთაბეჭდილებები და მომცეს სტიმული, კიდევ უფრო შემართებით ვაკეთო ის საქმე, რაც ასე ძალიან მიყვარს და მამბუნებებს, - აღნიშნა მხატვარმა.

ნატალია დაბიუასთვის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში გამართული პერსონალური გამოფენა რიგით მესამეა და როგორც ამბობს, არაერთი საინტერესო გეგმა აქვს. გამოფენა დღეს იხურება.

